№17 (7052) 14 სექტემბერი,
ორშაბათი, 2015 წელი.
ფასი 70 თეთრი.

## ხობის მუნიციპალიტეტის გაზეთი

# ახალ სასწავლო წელს გილოცავთ!

განათლება ჩვენი ქვეყნის პრიორიტეტია, ფასეული და საღი აზროვნების მქონე თაობის ჩამოყალიბების ქვაკუთხედი. ვუსურვებ ყველას იყვნენ სამოქალაქო საზოგადოების ჯანსაღი წარმომადგენლები, ქართული ეროვნულ-კულტურული ტრადიციების ღირსეული წარმომჩენები. ჰქონოდეთ ნებისყოფა, გამძლეობა და უფლის თანადგომა ყველა წამოწყებულ საქმეში.

ქვეყნის საყრდენ ძალას–სტუდენტებს ვთხოვ ნაყოფიერად გამოიყენონ ის შრომა, რაც დღემდე გასწიეს. გაემართლებინოთ ის იმედები, რასაც მათგან საზოგადოება, აღმზრდელი მასწავლებლები და მშობლები მოელიან. ვუსურვებ მათ არჩეულ საქმიანობაში დაოსტატებას და პროფესიულ ზრდას რთულ და საპასუხისმგებლო გზაზე.

პირველკლასელებო! ეს დღე მართლაც დაუვიწყარი მოვლენაა თქვენთვის. წელს პირველად შეაღებთ სკოლის კარს, დაეუფლებით ცოდნის მწვერვალს და დაფრთიანდებით ცხოვრების ასპარეზზე გასასვლელად. გისურვებთ სიყვარულს სწავლისადმი, წინსვლას ცხოვრებაში, მშვიდობიან, წარმატებულ და ძლიერ საქართველოში ცხოვრებას.

გილოცავთ ყველას ახალი სასწავლო წლის დაწყებას.

**გოდერძი ბუკია,**
*საქართველოს პარლამენტის ხობის მაჟორიტარი დეპუტატი.*

ძვირფასო ხობელებო, პედაგოგებო, მოსწავლეებო, სტუდენტებო!

გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას. ყოველი ახალი სასწავლო წელი თქვენს ცხოვრებაში ახალი და კიდევ ერთი საინტერესო პერიოდის, ახალი ცოდნის და გამოცდილების შეძენის დასაწყისია.

გამორჩეულად მინდა მივულოცო დღევანდელი დღე პირველკლასელებს და პირველკურსელებს, მათთვის ხომ დღევანდელი დღე სრულიად ახალი ეტაპის დასაწყისია.

პედაგოგებო, თქვენ დიდი როლი გაკისრიათ ერის განვითარებაში, გისურვებთ–გეამაყოთ თქვენი აღზრდილებითა და აღსაზრდელებით.

განათლება და განათლებული ახალგაზრდობა საქართველოს წინსვლის და წარმატების წინაპირობაა. ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე ხომ სწორედ განვითარებული, ნასწავლი და თავისი საქმის მცოდნე პროფესიონალებია.

მჯერა, რომ ახალი სასწავლო წელი თითოეული თქვენთაგანისთვის წარმატებული იქნება. იყავით აქტიურები და ერთად ჩავერთოთ ჩვენი ქალაქის და ქვეყნის განვითარების პროცესში.

**გოჩა ქაჯაია,**
*ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი.*

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელით, უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემით გილოცავთ ჩვენს მოსწავლე-ახალგაზრდობას ახალი სასწავლო წლის დაწყებას.

გისურვებთ წარმატებებს ცოდნის დაუფლებისა და მიღწევების საინტერესო ცხოვრების გზაზე, რათა განახორციელოთ ქვეყნის წინაშე თქვენი უპირველესი მოვალეობა–სწავლა-განათლება, განავითაროთ თქვენი ინტელექტუალურ-შემეცნებითი პოტენციალი და უნარ-ჩვევები, რომლითაც უნდა განსაზღვროთ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები.

ასევე ვულოცავთ პედაგოგებსა და მშობლებს. ჩვენ ერთად უნდა ვიზრუნოთ და შევძლოთ ჩვენი შვილებისთვის ყველა იმ საუკეთესო პირობების შექმნა, რითაც განპირობებულია ხარისხიანი განათლების მიღება, რაც საშუალებას მისცემს მათ თვითონ შექმნან ღირებულებები და ჩამოყალიბდნენ ჩვენი ქვეყნისა და თავისუფალი, ცივილიზებული მსოფლიოს ღირსეულ მოქალაქეებად.

ღმერთმა გააძლიეროს და მოჰმადლოს ჩვენს ახალგაზრდობას ნიჭიერება და ენერგია.

**ედიშერ ჯობავა,**
*ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.*

## ხობი საერთაშორისო ფესტივალს „სიმღერა სამეგრელოზე“ შეასპინძლებს

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საქტო დარბაზში 2-3 ოქტომბერს დაგეგმილ მეშვიდე საერთაშორისო ფესტივალთან „სიმღერა სამეგრელოზე“ დაკავშირებით საჯარო მოხელეებთან შეხვედრა გაიმართა. შეხვედრა ინფორმაციული სახის იყო, სადაც ფესტივალის ორგანიზატორმა, მაჟორიტარმა დეპუტატმა გოდერძი ბუკიამ ფესტივალის საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით და საჯარო მოხელეების ჩართვაზე ისაუბრა.

ფესტივალის ორგანიზატორები და მხარდამჭერები არიან განათლების, კულტურისა და სულიერების აღორძინების საერთაშორისო ფონდი „ხობი“, ქართული საერთაშორისო სიმღერის საერთაშორისო ცენტრი, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის ადმინისტრაცია, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა–საკრებულო.

შეხვედრას სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის აპარატის უფროსი ლაშა გვასალია, შ. ს. ხობის პოლიციის სამმართველოს უფროსის მოადგილე კახაბერ ლატარია, ფესტივალის დირექტორი რევაზ წულაია და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ, რომლებმაც საკუთარი აზრი გამოთქვეს და დამსწრე საზოგადოებას აქტიურად ჩართულობისკენ მოუწოდეს.

მეშვიდე საერთაშორისო ფესტივალი ეძღვნება მომღერალ თამარ გვერდწითელსა და ანსამბლი „რუსთავის“ შემოქმედებას. მათ მიერ შესრულდება როგორც ძველი, ასევე ახალი სიმღერები. ფესტივალში საქართველოს ყველა კუთხის მომღერალთა გუნდები მიიღებს მონაწილეობას. ითქვა, რომ როგორც ყველა წინა ფესტივალი, წლევანდელიც გამორჩეული იქნება გამოცემებით, საინტერესო სტუმრებითა და ახალი რეპერტუარებით.

## წარმაზებები დაგბედებოდეთ!

ხობის მუნიციპალიტეტის ყველა მოსწავლეს, მასწავლებელს, სკოლის ადმინისტრაციას და მშობლებს ვულოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პრიორიტეტია განათლების ხარისხის უზრუნველყოფა, გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურული გარემო, საერთაშორისო სტანდარტების სპორტული დარბაზები, ბიბლიოთეკები, ინფორმაციული ტექნოლოგიების კაბინეტები, კომფორტული სასკოლო ავეჯი.

დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საჯარო სკოლაში გვყავს 3569 მოსწავლე და აქედან 286 პირველკლასელი, ტრადიციულად, წელსაც სახელმძღვანელოები და ,,ბუკები“ მათ სკოლაში დახვდებათ. ბუკები განსაზღვრულია პირველი ოთხი სასწავლო წლისთვის, ამისათვის პროგრამების გადახალისება მიმდინარე რეჟიმში მოხდება.

რაც შეეხება ინფრასტრუქტურულ პროექტებს, წელსაც განსაკუთრებული შედეგებით ვხვდებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ სამეცნიერო და საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს პროექტის ფარგლებში, საჯიჯაოს №1 საჯარო სკოლაში 77777 ლარის ღირებულების გადახურვისა და სხვა სპეციალური სამუშაოები ჩატარდა.

ქალაქ ხობის №1 საჯარო სკოლაში დღეს მიმდინარეობს 263084 ლარის სარეაბილიტაციო-სარემონტო სამუშაოები. მთლიანად გადაიხურება სკოლის შენობა და ახალი სასწავლო წლისთვის სკოლას ექნება ახლადგარემონტებული სპორტული დარბაზი. საფუძველი ეყრება ქვემო ქვალონის №1 საჯარო სკოლის მშენებლობას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, ხობის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობამ და სკოლამ გამოყო თანხები სკოლის ახალი შენობის მშენებლობასთან დაკავშირებით მიწის ნაკვეთის შესაძენად. სერიოზული ინვესტიცია ჩაიდება სკოლის ახალი შენობის ასაშენებლად, რომელიც დააკმაყოფილებს ყველანაირ სტანდარტს და იქნება გამორჩეული რეგიონში.

წელს ამოქმედდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა. სქემა ძირფესვიანად ცვლის სკოლის ცხოვრებას. ამასთან დაკავშირებით იცვლება სახელფასო პოლიტიკაც. სხვა და სხვა დონეზე ხელფასი საგრძნობლად მოიმატებს, სექტემბრის თვიდან საქართველოს მასშტაბით საბაზო ხელფასი 50 ლარით გაიზრდება და გაიზრდება კატეგორიის დანამატები. საბაზო ხელფასი თუ იყო 305 ლარი,

3

# ჩვენს მუნიციპალიტეტში

## ხობის მუნიციპალიტეტს კომპიუტერული ტექნიკა გადაეცა

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ, პროექტის „ელექტრონული მმართველობის დანერგვა ადგილობრივ თვითმმართველობებში“ ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობას 3 ერთეული, ხოლო საკრებულოს 1 ერთეული პერსონალური კომპიუტერი გადასცა. კომპიუტერები საჭიროებების მიხედვით გამგეობისა და საკრებულოს შესაბამის თანამშრომლებზე გადანაწილდება.

პროექტის მიზანია შერჩეულ საპილოტე მუნიციპალიტეტებში სერვისების მართვისა და დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემების დანერგვა. ამ სისტემების საშუალებით გაუმჯობესდება კონტროლი გაწეულ მომსახურებაზე, შემცირდება მომსახურების მიღების ვადები და მინიმუმამდე იქნება დაყვანილი საოპერაციო და ადამიანური ხარვეზები, გადაწყვეტილების მიღების პროცესი გახდება გამჭვირვალე. ასევე განხორციელდება თვითმმართველობების პროცესების სტანდარტიზაცია და საკანონმდებლო ჩარჩოში მოქცევა.

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით, ელექტრონულ მმართველობასა და ელექტრონულ საქმისწარმოებაზე ხობის მუნიციპალიტეტი უახლოეს მომავალში გადავა, ამისთვის მზადება თითქმის დასრულებულია. პროგრამაში ჩართვისთვის მუნიციპალიტეტმა ყველა აუცილებელი სამუშაოები განახორციელა, მათ შორის განხორციელდა გამგეობისა და საკრებულოს მოხელეთა კომპიუტერული უზრუნველყოფა, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფო სერვისების სააგენტოების მხრიდან ხობის მუნიციპალიტეტს 2014 წელს 15 ერთეული კომპიუტერი გადაეცა.

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს პროექტ „ელექტრონული მმართველობის დანერგვა ადგილობრივ თვითმმართველობებში“ ბიზნეს კონსულტანტი ნინო გორგიაშვილი და ლოჯისტიკის სამსახურის მთავარი სპეციალისტი ლაშა ბერუაშვილი ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ედიშერ ჯობავას, გამგებლის პირველ მოადგილეს ვარაზ გაბედავას, გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსს ზვიად ბუკიას და საკრებულოს აპარატის უფროსს ლელა შამათავას შეხვდნენ.

შეხვედრაზე პროექტის მნიშვნელობაზე და სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს.

## „სამოქალაქო მონიტორინგისა და კვლევების ცენტრი“ ხობში

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობაში გამგებლის პირველ მოადგილეს ვარაზ გაბედავას „სამოქალაქო მონიტორინგისა და კვლევების ცენტრის“ წარმომადგენლები შეხვდნენ. შეხვედრაზე ისაუბრეს პროექტზე „მიუსაფარი ძაღლიც ადამიანის მეგობარიას“ განხორციელებაზე, რომელიც „ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის“ *(NDI)* მხარდაჭერითა და „შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს“ *(SIDA)* დაფინანსებით ხორციელდება.

პროექტის მიზანია სამეგრელოს რეგიონში მიუსაფარ ძაღლთა პრობლემის აღმოფხვრა, რაც გულისხმობს ქალაქ ზუგდიდში მაწანწალა ძაღლებისთვის თავშესაფრის მოწყობას, რომლითაც ისარგებლებენ სამეგრელოს რეგიონის სხვა მუნიციპალიტეტებიც.

შეხვედრას გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის ზედამხედველობის განყოფილების უფროსი გრიგოლ თოდუა ესწრებოდა. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა წარმოდგენილი პროექტი დადებითად შეაფასეს და სამოქალაქო მონიტორინგისა და კვლევების ცენტრის წარმომადგენლებს თანამშრომლობას დაპირდნენ.

## ინფრასტრუქტურული სამუშაოები გრძელდება

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში“ ახალსოფლის, ყულევის, თორსის და ქარიატის ადმინისტრაციულ ერთეულებში მიმდინარე და შესრულებული სამუშაოები ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველმა მოადგილემ ვარაზ გაბედავამ და გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენლებმა დაათვალიერეს.

ახალსოფელში საბავშვო ბაღს სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა. სარეაბილიტაციო სამუშაო, რომლის ღირებულებაც 25 433 ლარია ი.მ „კობა ზარანდიამ“ შეასრულა.

ყულევში დასრულებულია გარეგანათების მოწყობითი სამუშაოები, რომლის ღირებულებამ 8500 ლარი შეადგინა. მოწყობითი სამუშაოები ი.მ „ალეკო შონიამ“ შეასრულა.

ქარიატაში მიმდინარეობს სასაფლაოს ტერიტორიის შემოკავების სამუშაოები. სამუშაოების ღირებულება 13 100 ლარია. და მას .ი.მ. „ალეკო შონია“ ასრულებს.

თორსა-დღვაბაში 9 აპრილის მემორიალისა და სკვერის კეთილმოწყობა დასრულდა. სამუშაოები, რომლის ღირებულება 14 800 ლარია, ი.მ. ბადრი ბუკიამ“ შეასრულა.



## სპორტის უძველესი და ტრადიციული სახეობა ლელობურთი ხობში

ხობის მუნიციპალიტეტში უკვე ორი წელია წარმატებულად და საინტერესოდ ტარდება ტურნირები სპორტის უძველეს და ტრადიციულ სახეობა ლელობურთში, რომლის აღორძინებისთვის ინიციატივა გამოიჩინა და დროულად იზრუნა ხობის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ.

12 აგვისტოს, ცოტნეობის დღესასწაულზე ხობის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა მუნიციპალიტეტის ტურნირის ფარგლებში ფინალური შეხვედრა ლელობურთში პატარა ფოთისა და ძველი ხიბულის ნაკრებ გუნდებს შორის, სადაც გამარჯვება ძველი ხიბულის ნაკრებმა გუნდმა მოიპოვა.

ტურნირის ფინალს ესწრებოდნენ საქართველოს ლელოს ფედერაციის ვიცე პრეზიდენტი დავით კილასონია, სამეგრელოს რეგიონის ლელოს ფედერაციის ვიცე პრეზიდენტი, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ედეშერ ჯობავა და გამგებელი გოჩა ქაჯაია.

საქართველოს ლელოს ფედერაციის პრეზიდენტმა, გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალ მაიორმა ვახტანგ კაპანაძემ საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა და გამგებელი გოჩა ქაჯაია, 2015 წლის 12 აგვისტოს ხობში ჩატარებულ ცოტნე დადიანის სახალხო ზეიმზე გამართულ ლელოს ფესტივალის მაღალ ორგანიზებულ დონეზე ჩატარებისათვის, დააჯილდოვა სპეციალური სიგელებით.

სიგელებითა და თასებით დაჯილდოვდნენ ტურნირის მონაწილეები და გამარჯვებულები.

## „სახალისო ფეხბურთის ღია სკოლები“ დაიწყო

ქალაქ ხობის ცენტრალურ სტადიონზე სტარტი აიღო საერთაშორისო პროექტმა სახელწოდებით „სახალისო ფეხბურთის ღია სკოლების პროგრამა“. პროექტის ფარგლებში გამართულ ღონისძიებაში ხობის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების 200-მდე მოსწავლე იღებს მონაწილეობას. ქ. ხობის ცენტრალურ სტადიონზე რამდენიმე დღის განმავლობაში სხვადასხვა სპორტული თამაში გაიმართება. „სახალისო ფეხბურთის ღია სკოლების პროგრამა“ საქართველოში 2003 წლიდან UEFA-ს ეგიდით ხორციელდება და დიდი და პატარა ქალაქების 8-დან 12 წლამდე ასაკის გოგონებსა და ბიჭებს აერთიანებს. აღნიშნულ პროგრამაში კონფლიქტის ზონიდან დევნილი, შშმ და ძნელად აღსაზრდელი ბავშვებიც იღებენ მონაწილეობას. პროექტის „სახალისო ფეხბურთის ღია სკოლების პროგრამის“ ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებებისთვის საორგანიზაციო ხარჯები ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება, ხოლო თამაშის საჭირო ინვენტარით ამარაგებს და უზრუნველყოფს პროგრამის (დანიის) ადმინისტრაცია. სპორტული თამაშების გახსნას დაესწრნენ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა ქაჯაია, გამგებლის პირველი მოადგილე ვარაზ გაბედავა, ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები, სამეგრელოს რეგიონის საპატრულო პოლიციის თანამშრომლები

## საბავშვო ბაღების სარეაბილიტაციო სამუშაოები ნოჯიხევში განახლდა

ხობში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ინფრასტრუქტურული სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა, გამგებელი გოჩა ქაჯაია და გამგებლის პირველი მოადგილე ვარაზ გაბედავა ხობის მუნიციპალიტეტის ნოჯიხევის ადმინისტრაციულ ერთეულს ესტუმრნენ და გამგებლის წარმომადგენელთან ლევან ლიპარტიასთან და საკრებულოს წევრთან ნოჯიხევის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქიდან გოჩა სიჭინავასთან ერთად ორივე საბავშვო ბაღში მიმდინარე და დასრულებული სამუშაოები დაათვალიერეს. ნოჯიხევის №1 საბავშვო ბაღში წელს მოწესრიგდა სველი წერტილები. სამუშაოები, რომლის ღირებულება 6000 ლარია ი.მ „ბადრი ბუკიამ“ შეასრულა. №2 საბავშვო ბაღისთვის სარეაბილიტაციო სამუშაოები ყოფილ სკოლის შენობას უტარდება. პროექტს, რომლის ღირებულება 53 200 ლარს შეადგენს, შპს „გილანი XXI“ ასრულებს.

2015 წელს ხობის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სარეაბილიტაციო სამუშაოები 14 საბავშვო ბაღს უტარდება.

1

355 ლარი გახდება, აპრილში კი ხელფასი 50 ლარით მოიმატებს და 405 ლარი გახდება, რაც იმას ნიშნავს, რომ პროპორციულად გაიზრდება საშუალო ხელფასიც. საშუალო ხელფასის ზრდის გარდა, გაიზრდება დანამატები, რომელიც თითოეულ კარიერულ საფეხურზე განსხვავებული იქნება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ინიციირებულ პროექტში „ინგლისური ენის საზაფხულო სკოლა საქართველოში“, წელს ქალაქ ხობის №1 საჯარო სკოლის 16-მა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა და გაიმარჯვა ვაჟა-ფშაველას კვირეულში, სადაც პრიზად მიიღო 2000 ლარიანი ვაუჩერი კომპიუტერული ტექნიკის შესაძენად, პროექტი „ინგლისური ენის საზაფხულო სკოლა საქართველოში“, და „საზაფხულო სკოლა დიდ ბრიტანეთში“, საუკეთესო პროექტებია, რომელსაც სამინისტრო ინგლისური ენის სწავლების გაძლიერების პროგრამის ფარგლებში ახორციელებს. სამი კვირის განმავლობაში მოსწავლეებმა დასვენებასთან ერთად, ინგლისური ენის ცოდნაც გაირღმავეს, მიიღეს მონაწილეობა სხვა და სხვა აქტივობებში, რომელიც მოსწავლეთა ინტელექტუალური, სპორტული და შემოქმედებითი შესაძლებლობების განვითარებაზეა ორიენტირებული.

საქართველოს განათლებისა და მეცნირების სამინისტროს ინიციატივით, საჯარო სკოლებში უსაფრთხოება ძლიერდება. მომზადებული რეკომენდაციები სამ მიზანს ემსახურება: უსაფრთხოების სისტემის გაძლირება საჯარო სკოლებში; რეკომენდაციების შემუშავება საჯარო სკოლებისათვის, დარღვევების პრევენცია.

საპილოტე მოდელი ქვეყნის მასშტაბით 11 საჯარო სკოლას შეეხება.

პროექტი „ჩემი პირველი კომპიუტერი“ წელსაც გრძელდება. პერსონალური კომპიუტერები გადაეცემა მუნიციპალიტეტის მასშტაბით 29 მე-10 კლასელ წარჩინებულ მოსწავლეს.

განათლების სისტემის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს ტექნოლოგიებტევადი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა, როგორც გარანტი ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის. სწორედ ამ მიზანს ემსახურება პროგრამა „ჩემი პირველი კომპიუტერი“.

სწავლის წახალისების, წარჩინებული მოსწავლეთა მხარდაჭერის მიზნით მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების 35-მოსწავლეს გადაეცემა ოქროსა და ვერცხლის მედლები.

განათლების სიტემაში მიმდინარე პროცესები და მიღწევების ჩამოთვლა დიდ დროს მოითხოვს. იმედია, მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო სფეროში მიღწევების შესახებ სასაუბროდ კიდევ ერთხელ მოგვიწევს მკითხველთან შეხვედრა.

მართალია, წინ დიდი შრომა გველის, მაგრამ ქალაქ ხობის საგანმანათლებლო რესურსცენტრი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთად ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ყველა პირობა შეუქმნას მოსწავლეებს და პედაგოგებს წარმატებების მიღწევაში!

გვჯერა, ჩვენი მოსწავლეები თუ მასწავლებლები საკუთარი მიღწევებით არაერთხელ გაგვახარებენ!

**ხობის საგანმანათლებლო რესურსცენტრი.**

# „ცოდნა სინათლეა“

**– „წარმოიდგინეთ ბნელი ოთახი. წარმოიდგინეთ თუ არა?**

**– წარმოვიდგინე.**

**– არა, იქნება სადმე ერთი ფანჯარა ღია დაგრჩათ, ისიც დაკეტეთ.**

**– დავკეტე, ვუპასუხე მე და სიცილი მომივიდა.**

**– ძალიან კარგი. რაკი ის ფანჯარაც დაკეტეთ, ფარდაც ჩამოაფარეთ.**

**– ჩამოვაფარე.**

**–რაკი ფარდაც ჩამოაფარეთ, ოთახიც დაბნელდება, ვეღარაფერს დაინახავთ. უეცრად შემოიტანეს სანთელი, განათდა ოთახი. განათლებაც ეგ არის“.**

**(ილიას „მგზავრის წერილები“)**

ცოდნა და განათლება იყო, არის და იქნება ყველაზე მყარი კაპიტალი, რომელიც მის მფლობელს უშრეტად შეუძლია გამოიყენოს. ამასთანავე განათლება თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისკენ სავალი გზისკენ ყველაზე საიმედო გასაღებია. დღეს სწორედ ის დროა, როცა ქვეყნის ინტერესების დაცვა არა იარაღით, არამედ ცოდნით არის შესაძლებელი.

მისია, რომელიც მასწავლებლებს ღვთისა და ერის წინაშე გვაქვს, განუზომელია. ამიტომაც უდიდესი გამოწვევებისა და სიახლეების წინაშე ვდგავართ. ამ სიახლეებს და გამოწვევებს მაღალი პროფესიული მზაობით და მიღწეული წარმატებებით პასუხობს სსიპ ქალაქ ხობის №1 საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი.

ჩვენი სკოლის ცხოვრებაში ამ მხრივ ნამდვილად გამორჩეული იყო 2014-2015 სასწავლო წელი.

ხობის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ განხორციელდა სასკოლო ქსელების პროექტი, რომელშიც აქტიურად ჩაერთო ყველა მასწავლებელი. აღნიშნული პროექტის ფარგლებში სკოლამ მრავალ წარმატებას მიაღწია: ბიოლოგიის მასწავლებელმა თამილა გერგაიამ მე-8 კლასში (კლასის ხელმძღვანელი ზაირა ცხადაია) პირველმა განახორციელა აქტივობა „ექიმები“, მოსწავლეების მიერ გადაღებული ვიდეო მასალა მათ მიერვე აიტვირთა youtbe-ზე, გაანალიზეს.

პროექტი იყო ძალიან საინტერესო მეცნიერული თვალსაზრისით. გამოიკვეთა მასწავლებლის მაღალი პროფესიონალიზმი, რომელმაც იზრუნა როლური თამაშის მეთოდით მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებაზე. სწავლა-სწავლების პროცესში გამოიყენა გარდნერის მრავალმხრივი ინტელექტის კონცეფცია და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ინტელექტი არ არის ერთიანი მონოლითი. ინტერნეტით გავრცელებული ვიდეო მასალის მნახველს შორის თვით პროექტის ავტორები. სკოლას ეწვია რუსთავი-2 კორესპონდეტი, რომელიც დაესწრო ბიოლოგიის გაკვეთილს, გაეცნო მოსწავლეებს და გაკეთდა სიუჟეტი, რომელმაც ეს მოსწავლეები გახადა პოპულარულები. ამას მოჰ ყვა ვიზიტი ჩაწერაზე. საინტერესო იყო ჩაწერის პროცესი. „დიდმა ექიმებმა“ საზოგადოებას წარუდგინეს „პატარა ექიმები“ და დაასაჩუქრეს. მოსწავლეებმა ექიმებთან ერთად განიხილეს ის საინტერესო საკითხები, რომლებიც ბიოლოგიის კურსის შესწავლისას გაიარეს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, ჩატარდა აკაკი წერეთელის დაბადებიდან 175 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიებები სლოგანით „აკაკი თანამედროვე რეალობაში“. ღონისძიების ფარგლებში ესეების კონკურსში სახელწოდებით: „აკაკი წერეთელი და XXI საუკუნე“ მონაწილეობა მიიღო მე-10 კლასის მოსწავლე თინათინ ტყებუჩავამ (მასწავლებელი ნელი ახალაია, კლასის ხელმძღვანელი ლელა უბილავა), რომელიც, როგორც წარმატებული მონაწილე, მიწვეულიქნა მომავალ ლიდერთა საზაფხულო სკოლაში სამი კვირით.

წარმატებული იყო აგრეთვე ვაჟა-ფშაველას გარდაცვალებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილ თეატრალურ ფესტივალში ჩვენი სკოლის მონაწილეობა. ფესტივალის ფარგლებში დაიდგა „სტუმარ-მასპინძელი“, რომლის წარმატებულობაში უდიდესი წვლილი შეიტანა ქალბატონმა მარინე ჯღარკავამ. ფესტივალის გამარჯვებული სკოლების სია დამტკიცდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით.

ჩვენი სკოლის მიერ წარმოდგენილმა სპექტაკლმა დაიკავა II ადგილი. გვქონდა ბედნიერება ჩვენი სპექტაკლის ჩვენება განხორციელებულიყო მარჯანიშვილის თეატრში. სკოლას დიპლომი და 2000 ლარის ღირებულების კომპიუტერული ტექნიკისა და აქსესუარების სასაჩუქრე ბარათი გადმოგვცა კულტურის მინისტრმა.

ამ მოსწავლეებისთვის ნამდვილად სიურპრიზი და საუკეთესო საჩუქარი იყო წყნეთში, ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლის ბაზაზე ინგლისური ენის საზაფხულო სკოლაში მიწვევა სამი კვირით. მათთვის განხორციელდა 3 კვირიანი ინტენსიური (არანაკლებ 20 საათი კვირაში) ინგლისური ენის საზაფხულო კურსი. საზაფხულო სკოლაში, მოსწავლეებს ცოდნის დონის დასადგენად პირველივე დღეს ჩაუტარდათ (პრე)ტესტი ინგლისურ ენაში. მიღებული შედეგების საფუძველზე მოხდა ინგლისურ ენაში მათი დონეების მიხედვით გადანაწილება. დღის მეორე ნახევარში, საზაფხულო სკოლის მოსწავლეებს უტარდებოდათ ექსკურსია ორგანიზებული ტრანსპორტით, სპორტული, სახელოვნებო, რეკრეაციული თამაშებით და ა.შ.

კურსის დასრულების შემდეგ, სსიპ ქალაქ ხობის 1 საჯარო სკოლის 16 მოსწავლემ მიიღო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საზაფხულო სკოლის განმახორციელებელი ორგანიზაციის მიერ დამოწმებული სერტიფიკატი.

სკოლაში ყოველი სასწავლო წლის ბოლოს ჯამდება წარმატებულობა ყველა საგანში, განსაკუთრებული ინოვაციით გამოირჩევა პროექტი „ჩემი პორტფოლიო“, რომლის იდეის ავტორი გახლავთ ქალბატონო ზაირა ცხადაია, იგი როგორც კლასის ხელმძღვანელი, იწვევს მოსწავლეთა მშობლებს, საგნის მასწავლებლებს. მოსწავლეები მოწვეულ სტუმრებს წარუდგენენ წლის განმავლობაში მიღწეულ წარმატებებს და ასევე მშობლები ეცნობიან და აფასებენ მათ ნამუშევრებს, მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეები მთელი წლის განმავლობაში ემზადებიან წარმატებულობის პრეზენტაციისთვის.

სკოლაში ამ ეტაპზე სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ მიერ ხორციელდება სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის საერთო ღირებულებაა 263084.24 ლარი, მიმდინარეობს სპორტული და სააქტო დარბაზების რეაბილიტაცია.

იწყება ახალი სასწავლო წელი, ახალი გამოწვევებით. დიდი შრომა გველოდება, მაგრამ მზად ვართ ვემსახუროთ ჩვენს მოსწავლეებს, ყოველგვარი პირობები შევუქმნათ და ხელი შევუწყოთ წარმატების მიღწევაში.

მადლობას მოგიხდით ჩვენო მასწავლებლებო იმისთვის, რომ წლების განმავლობაში თავდაუზოგავად ზრდით ნიჭიერ ახალგაზრდებს, ექიმებს, პოეტებს, მეცნიერებს, საჯარო მოხელეებს, რომ დიდია თქვენი როლი მოსწავლის პიროვნებად ჩამოყალიბებაში, მათი სულიერი და ზნეობრივი სამყაროს შექმნაში... ქედს ვიხრი თქვენს წინაშე და გისურვებთ მხნეობასა და პროფესიულ წარმატებებს!..

***ქეთევან გაბისონია,***

***ქ. ხობის №1 საჯარო სკოლის დირექტორი.***

# იმედია, მოლოდინი გაამართლებს

ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებას მივულოცავ ახალი სასწავლო წლის დადგომას, ვუსურვებ წარმატებებს ჩვენს მომავალ თაობას ჩვენი ხვალინდელი დღის უკეთესი მომავლისათვის.

პროფესიული განათლება–სხვადასხვა ხელობების შესწავლა თუ გადამზადება ეს არის ახალგაზრდობის ხელშეწყობა, მომავალი პროფესიის დაუფლება. ამ მიზანს ემსახურება ხობის მუნიციპალიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრი, რომელიც ანხორციელებს მოკლევადიან პროგრამებს სხვადასხვა სახელობო ჯგუფებში.

რაც შეეხება პროფესიული სწავლების ცენტრს, ჩვენთვის სასწავლო წელი შეიძლება ითქვას, რომ წლის განმავლობაში მრავლად არის, რადგანაც სასწავლებელი მუშაობს მოკლევადიანი (ორთვიანი, სამთვიანი) პროგრამებით. ყოველი მომდევნო ჯგუფის გახსნა ნიშნავს ახალი სასწავლო პროცესის დაწყებას.

პროფესიული სწავლების ცენტრში ზაფხულის სეზონი უფრო დატვირთულია. სკოლის ცხრაკლასდამთავრებულები სარგებლობენ სკოლის არდადეგების პერიოდით და სამი თვის განმავლობაში ეუფლებიან მათთვის სასურველ სპეციალობებს. ზაფხულის განმავლობაში თითქმის ყველა სახელობო ჯგუფი მუშაობდა, როგორც ფასიან, ასევე უფასო სექტორში. უფასო ჯგუფებში (პერსონალური კომპიუტერის მომხმარებელ-ოპერატორის, თექის ხელოსნის, მდივან-რეფერენტის, ქალისა და მამაკაცის სტილისტის, მინანქრის ხელოსნის, მომპირკეთებელის (მეფილე), ელმონტიორის და მემცენარე ოსტატი). გადამზადდა 80 მსმენელი, ხოლო ფასიან ჯგუფში „ბ“ კატეგორიის მძღოლისა და „ტ“ კატეგორიის ტრაქტორისტ-მემანქანის ჯგუფებში 22 მსმენელი. სასწავლებელი მაქსიმალურად ცდილობს ხელი შეუწყოს დაინტერესებულ პირებს, უქმნის მათ გარემოს გარკვეული ცოდნის მისაღებად არა გვაქვს თანამედროვე სტანდარტები, მაგრამ ჩვენი კაბინეტ-ლაბორატორიები ზოგადად აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს. მსმენელებს უფასოდ ემსახურება სამარშრუტო მიკროავტობუსი.

სასწავლო პროცესს სასწავლებელში წარმართავენ დიდი გამოცდილების მქონე პედაგოგ-ინსტრუქტორები.

სავარაუდოდ, მომავალი წლიდან ველოდებით პროფესიული სწავლების ცენტრის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებაში გადასვლას, რათა პროფესიულ ცენტრს დაუბრუნდეს თავისი სტატუსი და გახდეს კოლეჯის ტიპის პროფსასწავლებელი.

იმედია, მოლოდინი გაამართლებს და ჩვენი მიზნები განხორციელდება.

**ნორა იოსავა,**

**(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრის” დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი**

# იმედიანი სასწავლო წელი

2014–15 სასწავლო წელმა სსპ ესტატე შუშანიას სახელობის ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი მაისის საჯარო სკოლაში მშვიდობიანად ჩაიარა.

სკოლა დაამთავრა რვა მოსწავლემ, მათ შორის სამი გახდა სტუდენტი, ჯულიეტა კვიკვინიამ კი 50 პროცენტიანი გრანტი მოიპოვა.

პედაგოგიური მოღვაწეობა დაასრულა ღვაწლმოსილმა ადამიანმა–მერი თაკვარელიამ. ქალბატონმა მერიმ ლამის ნახევარი საუკუნე გაატარა ჩვენი სკოლის კედლებში. სკოლამ მას საზეიმო გაცილება მოუწყო.

სასწავლო წლის მანძილზე სკოლამ არაერთ წარმატებას მიაღწია. საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდული ცენტრის მიერ ყოველწლიურად ტარდება ინტელექტუალური კონკურსი–„ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას“. ნორჩ ინტელექტთა გუნდი „ედემი“ (კაპიტანი პოლინა ფილიპია) და უფროსი ასაკის გუნდი „ნოეს კიდობანი“ (კაპიტანი გიორგი ტურავა) ხობის მუნიციპალიტეტის დონეზე გამარჯვებული გახდა. გუნდი მოამზადა ნინელი ხუხიამ, მუსიკალური მხარდაჭერა–ნათია ლატარია).

ხობის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ ორგანიზებულ გუნდურ პირველობაზე ჭადრაკში ჩვენი სკოლის გუნდს წილად ხვდა გამარჯვება (და-ძმა ანა და თეიმურაზ კვიკვინიები, ნიკა ბუკია). აღსანიშნავია, რომ მონაწილეთა შორის ჩვენი გუნდის მოჭადრაკეები ასაკით ყველაზე პატარები იყვნენ.

„მხიარულ სტარტებში“ მეორე ადგილი ერგო მუნიციპალიტეტის დონეზე ჩვენი სკოლის მოსწავლეებს (სპორტის მასწავლებლები–მერაბ ქანდარია და გრიშა ხიმშიაშვილი).

პროფორიენტაციის მიმართულებით წარმატებით იმუშავა პედაგოგმა სალომე ჯოლოხავამ. როგორც ყოველთვის, აქტიური იყო ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა–ნინელი ხუხიას, ნინო ცხადაიას, მანანა ხვიჩიას შემადგენლობით.

აღსანიშნავია ნინელი ხუხიას მუშაობა მშობლებთან. ისინი აქტიურად არიან ჩართული სასკოლო ცხოვრებაში, მშობლების მხრიდან არაერთი მადლობა მიუღია დირექციას იმის გამო, რომ ქალბატონი ნინელი უანგაროდ ამეცადინებდა თავის სადამრგებლო კლასისი მოსწავლეებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში.

ასეთივე შემართებით მუშაობს დაწყებითი განათლების კათედრაც–პედაგოგები ლალი ფეტელავა, ბელა ლაგვილავა, დალი თევზაძე, ნანა კორტავა, თამარ კობახიძე, ნათია ლატარია, გრიშა ხიმშიაშვილი, მერაბ ქანდარია, ფატიმა არახამია–გულისყურით, მთელ ენერგიას აქსოვენ პატარების სწავლა-განათლების საქმეს.

პროდუქტიული წელი ჰქონდა საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას. შორენა ბუკიას და ნინო ცხადაიას მოსწავლეებმა წარმატებით გადალახეს „სამოქალაქო განათლებაში“ ჩატარებული რესპუბლიკური კონკურსის პირველი ტური, რისთვისაც 50-ლარიანი წიგნების ვაუჩერებით და სხვა ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.

მოსწავლეები წარმატებებს აღწევენ მათემატიკურ კონკურსებზეც, რაშიც პედაგოგებს–ნინო კვიკვინიას, ნატო ქირიას, კობა კვიკვინიას, ნანი კვიკვინიას წვლილიცაა.

სკოლის საერთო წარმატებაში დამსახურება მიუძღვით ლიანა ნაჭყებიას, ელისო ლატარია-წოწერიას, გულნარა კრავჩენკოს, ლალი ბუკიას.

ათეული წლებია სკოლის სასწავლო ნაწილს განაგებს ქალბატონი ცისანა რატია. დაუღალავად შრომობენ ბუღალტერი თამარ გაბისონია, მატერიალურ-ტექნიკური პასუხისმგებელი პირი–გულვერ ბუკია, დარაჯები–გია გაბისონია და არჩილ გაბისონია, სკოლის სისუფთავეზე ზრუნავს ნათია ჭანტურია.

ახალ 2015-16 სასწავლო წელს სკოლა სიახლეებით ხვდება. სკოლა ერთვება საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტებში G-Pried, რომლის მიზანია ინოვაციური, მოსწავლეებზე ორიენტირებული სწავლების შემოღება და დანერგვა. პროექტი გულისხმობს მასწავლებლებისთვის ახალი სტრატეგიების გაცნობას, სკოლის საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფას, დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებში კვლევებს და მიზნად ისახავს მოზარდებში კითხვისა და მათემატიკური უნარების გაუმჯობესებას.

სკოლა ასევე ერთვება პროექტში–„ჭადრაკი სკოლაში“, რომელიც მეორე-მესამე კლასის მოსწავლეებს სთავაზობს ჭადრაკის ხალისით კომპიუტერულ სწავლებას. მეცხრე და მეთერთმეტე კლასელებს ახალ სასწავლო წელს ვთავაზობთ პროფორიენტაციის გაკვეთილებს, სადაც მოსწავლეებს საშუალება ექნებათ ამომწურავი ინფორმაცია მიიღონ პროფესიების შესახებ, რაც ხელს შეუწყობს მათ პროფესიული არჩევნის გაკეთებაში.

პირველი კლასის კარებს წელს ჩვენს სკოლაში 18 მოსწავლე შემოაღებს.

წარმატებებს და ბედნიერ მომავალს ვუსურვებთ მათ!

***კობა კვიკვინია,***
***პირველი მაისის საჯარო სკოლის დირექტორი.***

# ფრენით მოდიან პაცარები!
## (ჩანახატი)

*სიცოცხლე ლამაზ ფერებში თუ*
*დახატულა,*
*ამის მიზეზი შენ ყოფილხარ, შენ*
*თვალხატულა?*
*დრო რომ გავა, ნატვრის გუდას თვალს,*
*რომ შევავლებ,*
*იქ დაინახავ, წლები თურმე როგორ*
*ხატულა,*
*რამდენ ფიქრებში აზელილა ჩემი*
*წარსული,*
*რომ გაზრდილიყავ სასახელო კაცი*
*კაცური.*

მივდივარ, მივუყვები ხან ლამაზად დახატულ, ხანაც ეკლიან გზას, ზოგჯერ ჩავიმუხლებ, ზოგჯერ ვეცემი კიდეც, მაგრამ ისევ ვდგები, რადგან მასწავლებელს არ აქვს უფლება სულით დაეცეს, მას ხომ ეს დიდი სიყვარული, რწმენა პატარებმა შთაუნერგა.

14 სექტემბერს მოუთმენლად ველოდები, ჩემს ოთახს უკვე ასდის პატარების სურნელი, რადგან წელს პირველკლასელები უნდა მივიღო. მინდა დიდი მზე, ყვავილები და გაზაფხული დავახვედრო. ამაში მშობლებიც მეხმარებიან. უჩვეულო ფუსფუსია საკლასო ოთახში. პატარა ბუბას მამა თემურ ცირდავა აფერადებს ოთახს, ჩიტები და ყვავილები ნინო მასწავლებელმა მოგვიხატა, თითოეულის სურვილია ეს დღე ყველაზე ლამაზი იყოს და უჩვეულოდ აღიბეჭდოს პატარების გულში. მინდა ყველა მშობელს მოვულოცო „ბარტყის“ აფრენა და სიყვარულით ჩავიკრა თითოეული მათგანი გულში.

ჩქარა, ჩქარა, მოდით, გელოდებით.

***მანანა გაბელაია,***
***შუა ხორგის საჯარო სკოლის მასწავლებელი.***

# ქვეყნის ღონე განათლებული ადამიანია

მწიფე, ქარვისფერი შემოდგომის დღეებმა ახალი სასწავლო წლის ათვლა დაიწყო. მალე ჩამოკრავენ ცოდნის ტაძართატაძარში ყველა თაობისათვის სასიამოვნო, რომანტიკული, აღმაფრენის მომნიჭებელი სასექტემბრო ცოდნის ტაძრების გამღები ზარები. რადგან ჩვენ ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ და დიდი ილია მართლისა არ იყოს, „ადამიანი უნდა იწვრთნებოდეს სკოლაში ყოველი მხრით–გონებით, ზნეობით, სულით და ხორცით და არც ერთი მათგანი არ უნდა შეეწიროს მეორეს“... ამიტომ გონიერი ადამიანის სურვილია, რომ ჩვენს მომავალ თაობას ლაღი, ნებიერი ბავშვობა ქონდეს უღრუბლო ცასთან ერთად.

სასექტემბრო ზარები ამ ხიბლთან ერთად, მაინც უპირველეს ყოვლისა, გვიხმობს სწავლისა და ცოდნის შეძენისკენ, რამეთუ ქვეყნის ღონე განათლებული და მხნე ადამიანია.

ოცდამეერთე საუკუნემ არსებითად სწავლა-განათლების ფერიცვალება, მოდერნიზება მოითხოვა, ბავშვთან მისასვლელი გზა ახალი მეთოდებით და ინოვაციებით ერთობ შეიცვალა. ამიტომ ინტენსიურად მიმდინარეობს თვით მოძღვრების გადამზადება, რამეთუ ქართული ანდაზისა არ იყოს, ნასწავლი თუ არ სწავლობს უწვიმო ღრუბელს გავს.

დღეს მართალია კომპიუტერის ეპოქაა, მაგრამ წიგნს ვერაფერი შეცვლის. ჩვენ, წიგნის მოყვარული ერი ვართ, ჩვენი სავიზიტო ბარათი მსოფლიოში წიგნია, ქართველმა კაცმა მსოფლიო ფასეულობაში წიგნი დადო, ამიტომ ჩვენი მოძღვრული ვალია მოსწავლეები წიგნისკენ შემოვაბრუნოთ, შევაყვაროთ, თუ გვინდა, რომ ჩვენს მომძეს ჩვენი ერის დიდებისათვის „სიძნელე გზისა გაუადვილდეს“.

ყოველივე ეს ღრმად აქვთ შეგნებული ახალი ხიბულის №1 საჯარო სკოლის მასწავლებლებს, იგი დიდი ტრადიციების მქონე სკოლაა, აქ ბევრ სახელხმიან მასწავლებელს უმოღვაწია და ნათელი კვალი დაუტოვებია, რის გამოც ჩვენ უფლება არ გვაქვს მისი სახელოვანი ტრადიციები დავთმოთ და მხარი არ ავუბათ თანამედროვე მოთხოვნებს. შედეგი, საბედნიეროდ, სწავლა-აღზრდის საქმეში ცუდი არა გვაქვს... რაც ეროვნული გამოცდები შემოიღეს იმის შემდეგ, 5 მოსწავლემ 100%-იანი გრანტი აიღო, წელს ერთი მოსწავლე 50%-იან გრანტს დაეუფლა. ყოველ წელს მოსწავლეები ირიცხებიან სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ გაწეული პედაგოგიური ღვაწლისთვის, სკოლა რესურსცენტრმა საპატიო სიგელით დააჯილდოვა. ერთი სიტყვით, ახალი ხიბულის №1 საჯარო სკოლა ახალ ეტაპზეა, რუდუნებით მიუყვება მეცნიერების სწავლების გზას, რათა მომავალშიც მრავალი მოსწავლე დააკვალიანოს და საზოგადოების ღირსეული წევრი გახადოს.

ახლა კი ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა ახალი სასწავლო წელი მივულოცო სრულიად საქართველოს ყველა მოსწავლეს, მასწავლებელს, სახალხო განათლების ყველა მუშაკს დარაჯსა და დამლაგებელს, ვინაიდან ყველას დიდი პასუხისმგებლობა აწევს თავისი მოვალეობის წინაშე.

მადლი, სიყვარული, მფარველობა ღვთისა და ლოცვა წმინდა გიორგისა ფარავდეს სრულიად საქართველოს ყველა მოზარდს, აღდგომილი მაცხოვარი და ქრისტეს გვირგვინოსანი მხედარი წმინდა გიორგი იყოს სრულიად საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობის და მოძღვრების წინამძღვარი.

ცოდნის დღესასწაულს გილოცავთ ყველას. მრავალჟამიერ, მრავალჟამიერ!

***მაია ქაჯაია,***
***ახალი ხიბულის №1 საჯარო სკოლის დირექტორი.***

**ახალი სასწავლო წლისთვის სკოლების მომზადება ზაფხულიდან დაიწყო. მეკრ სკოლას ჩაუტარდა მიმდინარე და კაპიტალური რემონტი. გაუმჯობესდა მათი ინფრასტრუქტურა. იმ სკოლებს შორის, რომელთაც რემონტი ჩაუტარდა, არის საჯიჯაოს №1 საჯარო სკოლა.**

**თუ რა სიახლეებით ხვდება ეს სკოლა ახალ სასწავლო წელს, გვესაუბრება სკოლის დირექტორი ქალბატონი მაია შუშანია.**

# სწავლების ხარისხი კიდევ უფრო ამაღლდება

***სკოლის ისტორია:***

–საჯიჯაოს საშუალო სკოლა დაარსდა 1938 წელს. მაშინ სკოლის დირექტორი იყო მამანტი ნადარაია. პირველი შენობა ხის ყოფილა და დაიწვა. მოსწავლეებისთვის დროებით გადაუცია კოლმეურნეობის კანტორისთვის განკუთვნილი ორსართულიანი შენობა. დღევანდელი სკოლა არის 1989 წელს აგებული. იმ პერიოდში მეზობელ სოფლებში სკოლები არ იყო და აქ სწავლობდა რაიონის ზედა ზონის თითქმის ყველა მოსწავლე. შემდგომში სკოლების გახსნასთან დაკავშირებით მოსწავლეები გადავიდნენ ახლომდებარე სკოლებში.

***ყოფილი თვალსაჩინო პედაგოგები:***

–ამ სკოლაში მოღვაწეობდნენ ისეთი ღვაწლმოსილი პედაგოგები, როგორებიც იყვნენ: ბონდო ჭანტურია, ვარდიშა ყორშია, ალიოშა ზარანდია, კლარა ბესელია, ლია თირქია, გიორგი ახალაია, ინდიკო შამათავა, ვალერიან შამათავა, ციალა პერტაია, ჟორჟი ტყეებუჩავა, გივი კოხია, ნაზი თამლიანი, მარგო ჩიქოვანი, იროდი ტყეებუჩავა, ზაირა ჯიქია, ჯოდო კოხია, ნოდარი თირქია, ეთერი ჯობავა, ხარიტონ კუჭავა და სხვა პედაგოგები, მათი ჩამოთვლა შორს

წაგვიყვანს, რომელთაც ბევრი თაობა აღუზარდეს ქვეყანას.

***სკოლის აღზრდილები, კავშირები მათთან:***

–საჯიჯაოს საშუალო სკოლაში აღიზარდა ისეთი პიროვნებები, რომელთაც თავიანთი მოღვაწეობით დიდი წვლილი შეიტანეს სოფლის და რაიონის განვითარების საქმეში. მათ კავშირი არ გაუწყვეტიათ სკოლასთან. სხვათაშორის ხობის ყოფილი რაიკომის პირველი მდივანი, დღეს უკვე პენსიონერი, ბატონი რაული ჯახია ახალ სასწავლო წელს სკოლის დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებთან საჩუქრებით მოვიდა. ასევე სკოლის კურსდამთავრებული, უნივერსიტეტის სტუდენტი, შოთა ნარსია შეხვდა მაღალკლასელებს და ჩაუტარა ტრენინგი თემაზე სამოქალაქო განათლება.

***სკოლის და საერთოდ განათლების სფერო მუდმივად განახლებადია, რა სიახლეებით ხვდებით ახალ 2015-2016 სასწავლო წელს?***

–რაც შეეხება სკოლის ინფრასტრუქტურას, ახალ სასწავლო წელს, სკოლის შენობის განახლებული სახურავით შევხვდებით, ასევე მოკლე დროში ვგეგმავთ სპორტული დარბაზის და რამოდენიმე ოთახის გარემონტებას.

2015-2016 სასწავლო წელს საერთოდ სკოლებში პედაგოგები ჩაერთვებიან მასწავლებლის საქმიანობის დაწყების „პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემაში“. ეს წელი იქნება საპილოტე და საფუძველს დაუდებს პედაგოგთა მუდმივი თვითგანვითარების პროცესს. ასევე მიმდინარე სასწავლო წლიდან პედაგოგებს ეტაპობრივად გაეზრდებათ ხელფასი მათი კვალიფიკაციის მიხედვით.

***სკოლაში პედაგოგთა და მოსწავლეთა რაოდენობები:***

–სკოლაში მუშაობს 33 პედაგოგი და სწავლობს 250 მოსწავლე.

***სერთიფიცირებული მასწავლებლები, მათი საშუალო ანაზღაურება:***

–სკოლაში გვყავს ოთხი სერთიფიცირებული მასწავლებელი, რომელთა საშუალო ანაზღაურება შეადგენს 641 ლარს.

***რამდენმა მოსწავლემ დაამთავრა გასულ სასწავლო წელს სკოლა. რამდენი გახდა სტუდენტი.***

–გასულ სასწავლო წელს 23 მოსწავლემ დაამთავრა სკოლა. კურსდამთავრებულებიდან ეროვნულ გამოცდაზე გავიდა 6 აბიტურიენტი და მათგან ხუთი სტუდენტი გახდა.

***როგორია სკოლის ინფრასტრუქტურა, რა პრობლემები იყო, რომელი მოგვარდა?***

–სკოლა არის ნახევრად რეაბილიტირებული. 2013 წლიდან სკოლის ბიუჯეტით შერწყმული სკოლის საკლასო ოთახებს გაუკეთდა რემონტი, შერწყმულ და ძირითად სკოლებში გაკეთდა ელექტრო გაყვანილობის რემონტი, ძირითად კორპუსში გაკეთდა სამზარეულოს ოთახების, პირველი სართულის ჰოლის, ასევე შიდა და გარე წყალგაყვანილობის, კანალიზაციის და მესამე სართულზე საკონფერენციო დარბაზის რემონტები. ხოლო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოყოფილი თანხით ჩატარდა სკოლის სამედიცინო ოთახის რემონტი, ასევე სკოლის გადახურვისა და სხვა სარემონტო სამუშაოები.

***რას გვეტყვით სახელმძღვანელოებით მოსწავლეთა დაკმაყოფილების შესახებ:***

–უკვე ორი წელია, რაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ყოველ ახალ სასწავლო წელს უზრუნველყოფს მოსწავლეებს ახალი უფასო სახელმძღვანელოებით. ამ მხრივ არც ეს წელი იქნება გამონაკლისი და მოსწავლეებს დაურიგდებათ სახელმძღვანელოები.

***რამდენ პირველკლასელს ელოდებით?***

–ახალ სასწავლო წელს სკოლა უმასპინძლებს 11 პირველკლასელს.

***როგორი და რა შედეგები გქონდათ სხვადასხვა სახის ოლიმპიადებზე, ტურებზე, შეჯიბრებებზე?***

–2014-2015 სასწავლო წელს სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის ორგანიზებით გაიმართა კონფერენცია- გამოფენა,სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში, სადაც საჯიჯაოს №1 საჯარო სკოლის პედაგოგს ბელა ქვარცხავას მიენიჭა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის წლის საუკეთესო სამოქალაქო განათლების კლუბის მეურვე პედაგოგის წოდება. ასევე სკოლის სამოქალაქო კლუბი „ანაბასისი“ დაჯილდოვდა საკლუბო ტექნიკის კომპლექტით მის მიერ გაწეული წარმატებული მუშაობისთვის. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ორგანიზებით მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრის მიერ ეროვნულ კონფერენციაში წარმოდგენილი მოხსენებისათვის დაჯილდოვდნენ და გადაეცათ სერტიფიკატები „საუკეთესო პედაგოგიური პრაქტიკა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში“ პედაგოგებს: ბელა ქვარცხავას, თეა კვირკველიას, ელზა ნანეიშვილს, ლალი სერგიას და ნონა კიკნაველიძეს. ასევე მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი სკოლა გამოირჩევა დიდი სპორტული მიღწევების მქონე მოსწავლეებით.

2014 წელს მეათე კლასის მოსწავლე ჯონი ხეცურიანი გახდა მსოფლიო ჩემპიონი, საერთაშორისო ტურნირზე დაიკავა პირველი ადგილი, ხოლო ევროპის ჩემპიონატზე ბერძნულ- რომაული სტილით ჭიდაობაში გახდა ბრინჯაოს პრიზიორი.

2015 წელს საქართველოს პირველობისთვის ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაში პირველი ადგილის მფლობელები გახდნენ 42 კგ.წონით კატეგორიაში ირაკლი ნაკაშია,ხოლო 58კგ.წონით კატეგორიაში ჯონი ხეცურიანი. სომხეთში ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირზე კრივში პირველი დაიკავეს და გახდნენ ჩემპიონები ირაკლი ხარამიშვილი, დიმა ქაჯაია და გიორგი ახალაია.

***მომავლის სკოლა- როგორ ხედავთ მას?***

–საჯიჯაოს №1 საჯარო სკოლას აქვს დიდი პოტენციალი. ის ტერიტორიულად მდებარეობს მუნიციპალიტეტის ზედა ზონის ცენტრში. დღეს უკვე აქ გვაქვს საკმარისი პირობები იმისათვის, რომ ქსელურ მუშაობაში ჩართულ ზედა ზონის სკოლებს ვუმასპინძლოთ და წარმატებული მუშაობა გავწიოთ. ამასთან სკოლას აქვს დიდი შენობა და, თუ ბიუჯეტი მოგვცემს საშუალებას, ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას შევთავაზებთ მოსწავლეებს.

სახელმწიფო დიდ ყურადღებას აქცევს საგანმანათლებლო რეფორმებს, მოხდა სკოლების ინვენტარის განახლება, რომელიც ჯერ კიდევ გრძელდება და მალე ყველა სკოლა სრულყოფილად აღიჭურვება სასკოლო ინვენტარებით და სხვა საგანმანათლებლო რესურსებით, რაც დადებითად აისახება მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზე. ხოლო ის ფაქტი, რომ ყველა მასწავლებელი მიმდინარე სასწავლო წლიდან ჩართული იქნება, მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემაში, გვაძლევს იმედს,რომ ჩვენს სკოლაში სწავლა, სწავლების დონის ხარისხი კიდევ უფრო მეტად ამაღლდება.

***თქვენი სურვილები:***

–საჯიჯაოს №1 საჯარო სკოლას, რა თქმა უნდა, ვუსურვებ პედაგოგთა და მოსწავლეთა დიდ წარმატებებს. მოსწავლეთა საერთო აკადემიური მიღწევის დონის კიდევ უფრო ამაღლებით მიაღწევს დარწმუნებული ვარ, რომ სურვილი სურვილად არ დარჩება და რეალიზდება.

**ესაუბრა მანანა შულაია.**

## ქვემო ქვალონში წელს ახალი სკოლის მშენებლობა დაიწყება!

# „მთელი სიცოცხლე ვალდები ამ დიდებულ წამს“

მთავარი ძალა, რაც საარსებო ბრძოლაში გამარჯვებას ანიჭებს ერს, არის ცოდნა და განათლება, რომელსაც სკოლაში ეყრება საფუძველი. დიდი ილია ბრძანებდა: „ვინც ორი მარცვალი მოიყვანა იქ, საცა მანამდე მარტო ერთი მარცვალი მოდიოდა, იგი უდიდეს სამსახურს უწევსო კაცობრიობას“.

ქვემო ქვალონის №1 საჯარო სკოლა, რომელიც თავისი არსებობის 90 წელს ითვლის, პირველი ზარის აწკრიალებიდან დღემდე ხალხის სამსახურშია, საქართველოს საიმედო მომავალს უზრდის. ყოველი სასწავლო დღე თითოეული პედაგოგის, მოსწავლეთა ნიჭისა და შესაძლებლობათა გამოვლენის, ინტელექტუალური ძალების ამოქმედებისა და განვითარების სარბიელად ესახება. სწამთ, რომ ბავშვის სული ისე ადვილად შეიძლება წარიმართოს გარკვეული მიმართულებით, როგორც წყაროს წყალი.

წლევანდელი სასწავლო წელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სკოლის ცხოვრებაში, 2016 წლიდან იწყება ახალი სკოლის მშენებლობა, რომელიც 320 მოსწავლეზეა გათვლილი. პროექტის საბალანსო ღირებულება შეადგენს 3841250 ლარს, რომ არა უამრავი ადამიანის, საქართველოს პარლამენტის ხობის მაჟორიტარი დეპუტატის ბატონი გოდერძი ბუკიას, ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბატონი გოჩა ქაჯაიას და გამგებლის მოადგილის, ამავე სკოლის კურსდამთავრებულის ბატონ ვარაზი გაბედავას, რესურსცენტრის ყოფილი უფროსის ქალბატონი ხათუნა გერგაიას უდიდესი ძალისხმევა, შეიძლება ეს სამუშაო სკოლის მშენებლობისათვის ეზოს შეძენასთან დაკავშირებით წარმოშობილი პრობლემის გამო შეჩერებულიყო.

უდიდეს მადლიერებას გამოვხატავთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს და ყველა იმ ადამიანის მიმართ, რომელთაც წვლილი მიუძღვით სკოლის ახალი შენობის მშენებლობასთან დაკავშირებით.

სკოლაში 250-მდე მოსწავლეა. მათ სწავლა-აღზრდას 25 პედაგოგი ემსახურება. სკოლის საამაყოდ უნდა ითქვას, რომ კურსდამთავრებულების 60%-ზე მეტი ყოველწლიურად წარმატებით აბარებს ერთიან ეროვნულ გამოცდებს.

მიმდინარე წელს სკოლა ნინო სოხაძემ და მარიამ ბერიშვილმა ოქროს მედალზე, ხოლო თეონა ჭკადუამ ვერცხლის მედალზე დაამთავრეს. სამივე უკვე სტუდენტი გახდა. ნინო კი ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე 100%-აიანი გრანტით ჩაირიცხა.

ბევრი სიახლეა სასკოლო ცხოვრებაში. წლევანდელი სასწავლო წელი მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის პილოტირების წელია. სქემაში სკოლის ყველა პედაგოგია ჩართული, ვმონაწილეობთ სხვადასხვა პროექტებში. 2 წლის ვადით სკოლას „მშვიდობის კორპუსის“ პროექტით ჰ ყავს ამერიკელი მოქალაქე, 7 სექტემბრიდან გაიხსნა ინგლისურენოვანი საზაფხულო ბანაკი, სადაც მოსწავლეები ერთობიან და სწავლობენ სხვადასხვა სახალისო და საკომუნიკაციო აქტივობებით. ეს დღეები დაუვიწყარია მოსწავლეებისათვის.

ანდამატივით იზიდავს ეს სკოლა დიდსა და პატარას. ამ „ოჯახში“ შემოსული ყოველი ახალი წევრი სისხლხორცეულად ერწყმის სკოლას. აქ ერთსულ და ერთხორც ქცეულან თითქმის ყველანი, ერთი დიდი მიზნისთვის იღწვიან და სჯერათ, რომ საქართველოს ლამაზი სულისა და ინტელექტის ქვალონელი ახალგაზრდები არ მოაკლდება.

ჩემს სკოლას, ხობის მუნიციპალიტეტს, სრულიად საქართველოს ვულოცავ ამ ლამაზ დღესასწაულს, რომელიც სულისა და გონების ზეიმი და აღმფრენაა.

**ლუარა ყალიჩავა,**
***ქვემო ქვალონის №1 საჯარო სკოლის დირექტორი.***

## ჩვენი მოლოცვა

**ქალბატონ მერი ამრამიას!**

უთმილესი გრძნობით, მისთვის საკადრისი ულამაზესი სიტყვებით გვსურს დამადებიდან 86 წლის იუბილე მივულოცოთ ხობის მუნიციპალიტეტში ყველასთვის ნაცნობ, კეთილშობილ და საყვარელ ქალბატონს, მასწავლებელთა–მასწავლებელს, კარგ მოკალმესა და ქურნალისტს, საუკეთესო ფილოლოგსა და პოეტს, რამოდენიმე წიგნის ავტორს, ყველასგან დაფასებულ, დღესაც მშვენიერსა და ახალგაზრდული შემართების მქონე პიროვნებას, მრავალი ორდენისა და ჯილდოს, მისთვის განსაკუთრებით საპატიოს—საქართველოს კათალიკოს პატრიარქის ილია II ნაჩუქარ გულსაკიდი ჯვრის მფლობელს, კარგ მეუღლეს, შესანიშნავ დედასა და მემიას ქალბატონ მერი ამრამიას.

წელთა სიმრავლეს გილოცავთ, გეფერებით და გკოცნით უთვალავჯერ. გვსურს ჩვენს გვერდით კიდევ ათეული წლები იყოთ ასე მხნედ და ლამაზად.

*თქვენი რედაქციელები*

---

ყველა ამაყობს თქვენი წარსულით,
მისამაბი ხართ–„ჯოლხი ასული“,
აღარ ისვენებს მემრძოლი სული,
შემართემა გაქვთ ახალგაზრდული.

11 სექტემბერს დამადებულხართ,
იუბილარო, ასაკს არ გითვლით,
თაობის დიდო მემაირაღევ!
ჩვენ ყველაფრისთვის მადლობას
გიხდით.

*თამარ ლოლუა-ჩიტაია.*

# უფროსი მეგობარი, დამრიგებელი...



ახალი სასწავლო წელი იწყება. ფიქრებში თვალი გადავავლე წარსულის სურათს, ღირსახსოვარ ადამიანთა სახეებს. არასოდეს მიფიქრია აქტიურად, იშვიათობის გარდა, თბილი სიტყვებით მოვფერებოდი მათ პრესის ფურცლებიდან, შევძლებდი კი შესაფერისად გამომეხატა მთავარი სათქმელი?!. ისინი ქმნიდნენ ეპოქას, ხობის ისტორიას განათლების დარგში, თავიანთი ერუდიციით, მენტალიტეტით, სიტყვაკაზმულობით, პასუხისმგებლობით, სამართლიანობით... ერთ-ერთი მათგანი გახლავთ ქალბატონი ნელი ბუკია, ჩემი უფროსი მეგობარი, დამრიგებელი... და დიდი იმედი!

ნელი მასწავლებელო (ასე მოგმართავდით ყოველთვის), გილოცავთ დღევნდელ დღეს, ახალ სასწავლო წელს, ჯანმრთელობა და ხანგრძლივი სიცოცხლე დაგანათლოთ ბუნების ძალამ. წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ისევ ჩვენ გვერდით ბრძანდებით, ჩვეული ენერგიითა და სიყვარულით, თქვენ ხართ მოძღვარი, რომელსაც არასოდეს დავუვიწყებთ, იმ დიდ ამაგს, რომლითაც მოვედით დღემდე.

მინდა გავიხსენო ერთად გატარებული წლები, მხოლოდ და მხოლოდ თბილი მოგონებები მაკავშირებს თქვენთან, დიდი როლი შეასრულეთ ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში. იყავით, უპირველეს ყოვლისა, სამართლიანი, უბოროტო და კეთილშობილი, პირდაპირი და ერთგული, უღალატო. პედაგოგიურ საქმიანობაში დიდად შემიწყო ხელი თქვენთან მუშაობის გამოცდილებამ, უფროსებთან არასოდეს მიმიღია შენიშვნა, არამედ მასწავლიდით და ყველაფერს ვაცნობიერებდი, რთული გზიდან გამოსავალს ეძებდით და აღწევდით, ოღონდ უფრო მეტად სხვისთვის, ვიდრე საკუთარი თავის განდიდებისთვის. მუდამ ფუტკარივით თავჩარგული ფურცლებში, თქვენი ხელწერა, ლამაზი, დახვეწილი სიტყვები მაგალითი იყო ჩვენთვის. არასოდეს მწყენია, ზოგადად, მკაცრი სიტყვებიც კი, რადგანაც ვთვლიდი, რომ სამართლიანი ნათქვამი იყო, თქვენთან ურთიერთობა დიდ ძალას მმატებდა, ამასთანავე მქონდა უდიდესი კრძალვა, მაგრამ თავად შეგეძლოთ მოფერება, დარიგება დამშვიდება. თბილი სიტყვებით განწყობის შექმნა. დაუვიწყარია ყველასთვის ის დიდი ტკივილი, რომელსაც გაუძელით, საოცარი მტკიცე ხასიათით, თქვენ თვითონ ჩაიკალით გულში დარდები, სხვას უფრთხილდებოდი, ფიქრები ოჯახსა და სამსახურს დაუკავშირეთ (არ მინდა ყველაფერი გაგახსენოთ და ამისთვის მაპატიეთ). თქვენ გვერდით იდგა უდიდესი ადამიანი, თავისი ღირსებით, კაცურკაცობით, დიდი ბურჯი ბატონი ჯონი კვირტია (ღმერთმა ნათელში ამყოფოს).

ნელი მასწავლებელო, კიდევ ერთხელ გილოცავთ ახალ, 2015–2016 სასწავლო წელს, თქვენთან ერთად ჩემს უსაყვარლეს თათიასა და სოფოს, ლამაზ და ღირსეულ, საამაყო ოჯახს.

ღმერთმა დაგანათლონ ზღვა სიხარული.

გკოცნით, გეფერებით...

**ზაირა ცხადაია.**

## ღვაწლმოსილნი

# ვალი ღირსეულად მოიხადა

არის დღეები, რომლებიც ნებისმიერ დროსა და ვითარებაში ინარჩუნებენ განსაკუთრებულ დამოკიდებულებას. ასეთია ახალი სასწავლო წლის დაწყების დღეც. იგი ერთნაირად აფორიაქებს ნებისმიერი ასაკისა და პროფესიის ადამიანს. ზოგი შვილს ულოცავს ცოდნის მწვერვალებისაკენ მიმავალ გზას, ზოგი შვილიშვილს, ზოგს ლამაზ წარულს, უდარდელი ბავშვობის ხანას ახსენებს.

თუმცა ეს დღე ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია პედაგოგებისთვის, იმ ადამიანებისთვის, რომლებიც გასაოცარი ნებისყოფით, დიდი სიყვარულითა და რუდუნებით ემსახურებიან მომავალი თაობის აღზრდის კეთილშობილურ საქმეს.

ქალბატონი ნათელა მეუღლესთან ერთად

ზაფხულის ცხელ დღეს მუნიციპალიტეტის პედაგოგთა კოჰორტაში გამორჩეულ, ვალმოხდილ მასწავლებელს ქალბატონ ნათელა ცხადაია-სერგიას ვეწვიე.

სევდანარევი სიამაყით შემხვდა... უკვე ოთხმოც წელს გადაცილებული, ტკბილ-მწარე მოგონებებში ჩაძირული, ჯერ კიდევ ენერგიულად გამომზირალი ქალბატონი, მის მიერ სახელოვნად განვლილი ცხოვრების გრძელ გზას იხსენებს.

შიგადაშიგ ჟამთა სრბოლისგან ფერგადასულ ფოტოებსაც იშველიებს, საიდანაც ენერგიული, სიცოცხლის სურვილით აღსავსე და ნორჩებზე უსაზღვროდ მოსიყვარულე პედაგოგის გაცისკროვნებული სახე შემოგცქერის, თვალები კვლავინდებურად უსაზღვრო სითბოსა და ალერსს აშუქებს, არც სულიერ შემართებას უჩივის.

ხუთ ათეულ წელზე მეტ ხანს ემსახურა თავის საყვარელ საქმეს. სამართლიანობისა და გულმოწყალების ეტალონად აღიარებული, ამჟამად პენსიონერი პედაგოგი. ამ ხნის მანძილზე ასეულობით ქართველს უნერგავდა მშობლიური დედაენის სიყვარულსა და პატივისცემას.

სამყაროს საიდუმლოთა სიღრმეში წვდომის სურვილით გულანთებულ გლეხის გოგონას, მასწავლებლად გახდომა და ხელში სასკოლო ჟურნალის დაჭერის სურვილი არ ასვენებდა. ერთი ფიქრი ასულდგმულებდა-დაუფლებოდა პედაგოგის პროფესიას და მთელი ცხოვრება მიეძღვნა ნორჩი თაობის სულიერი აღზრდისთვის.

მართლაც, სანთელ-საკმეველმა თავისი გზა არ დაკარგა. მოწოდებით პედაგოგად დაბადებულმა ქალბატონმა ეს გამოცდაც ბრწყინვალედ ჩააბარა, ვალი პირნათლად მოიხადა. დღესაც ბევრი მისი ყოფილი მოსწავლე ისევ „ნათელა მასწავლებლით“ მიმართავს.

ქალბატონი ნათელა წლების განმავლობაში მუშაობდა ნარაზენის, ქვედაზენის, საჯიჯაოს, ხიბულის სკოლებში დაწყებითი კლასის მასწავლებლად. ყოველმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ქსოვდა, ქარგავდა, ხატავდა, შესანიშნავად მღეროდა, წერდა საკუთარ ლექსებს (ცნობლია მისი თარგმანი მეგრულად „მგელი და კრავი“).

ქალბატონ ნათელას მეუღლე, ცნობილი პიროვნება, დამსახურებული აგრონომი სევერიან სერგია, რომ გარდაიცვალა, თავად იტვირთა ქალისა და მამაკაცის საქმე. ჰყავს არაჩვეულებრივი შვილები, ქალიშვილი ნაზი სერგია ექიმ-პედიატრია და სანკტპეტერბურგის ერთ-ერთ ცნობილ კლინიკაში განყოფილების გამგედ მუშაობს, აქვს „წლის საუკეთესო პედიატრის“ წოდება. არის ორი შვილის დედა: ვაჟიშვილი დავით ფარულავა ირლანდიაში მუშაობს. ქალიშვილი სალომე ლონდონში სწავლობს.

ვაჟი ხვიჩა სერგია პროფესიით ინჟინერია. ორივე შვილები სანპეტერბურგში მოღვაწეობენ. ოთხი შვილიშვილი და ერთი შვილთაშვილი ყავს და ამით ბედნიერია.

ამაყად დააბიჯებს საჯიჯაოში წლების სიმძიმით დატვირთული ქალბატონი, ჭეშმარიტი აღმზრდელი, ღირსეული მეუღლე, მზრუნველი დედა და ბებია და მეუღლის დანატოვარ თბილ კერას არ აციებს. მტერ-მოყვარეს სათანადოდ პატივს ცემს და სამკვიდროდან ჯიუტად ფეხს არ იცვლის: „სანამ ცოცხალი ვარ და პირში სული მიდგას, ჩემი ქმრის დატოვებულ სახლის კარებს ურდულს ვერ დავადებ და კერიაზე ცეცხლს არ ჩავაქრობ, ხოლო როცა სიკვდილი კარზე მომიკაკუნებს, მეც იმ საწოლზე აღვესრულები, სადაც ჩემმა მეუღლემ სიცოცხლის ბოლო წუთები გაატარა“.

ნათელა მასწავლებელი მისი აღზრდილებით ამაყობს, რომლებიც სასახელოდ ემსახურებიან ჩვენს საზოგადოებას და ხშირად ეხმაურებიან საყვარელ მასწავლებელს. ნაზი სერგია-ექიმი. ხათუნა ქაჯაია-იურისტი, გოჩა ქაჯაია ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი და ბევრი სხვები. დარწმუნებულია, რომ ყველა სიყვარულით დაიტირებს, არავის არ ემდურის, მხოლოდ გულდაწყვეტილია: „2008 წელს მაშინდელმა ხელისუფლებამ, სკოლიდან ყოველგვარი მითითების გარეშე დაგვითხოვა. მაშინ მათ ერთი წერილი მივწერე „ღვაწლმოსილი თაობა და უმადური შვილები“, ეს იყო და ეს“, მითხრა მან.

ყოველი სასწავლო წლის დაწყება მისთვის დიდი ბედნიერებაა:

„ჩემო კოლეგებო, მოსწავლეებო და საზოგადოდ ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ეს დღე, დიდი სიყვარულით გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას, გისურვებთ წარმატებას, წინსვლას, დასახული მიზნების მიღწევას. სამშობლოს სიყვარული იყოს თქვენი გზის გამკვლევი კელაპტარი, სამშობლოსი, რომელსაც დღეს განსაკუთრებით ესაჭიროება გონიერი, განათლებული, ზნესრული მომავალი თაობა“.

გულთბილი საუბარი დიდხანს გაგრძელდა. დამშვიდობებისას ქალბატონმა ნათელამ მითხრა: „ბედნიერია ადამიანი, რომელიც საყვარელ საქმეს ემსახურება ყოველგვარი ანგარების გარეშე, მაგრამ კიდევ უფრო ბედნიერია მაშინ, როდესაც მის ამაგს, ღვაწლსა და შრომას დააფასებენ“.

**ნაირა ბერაია.**

პრობლემა, რომელიც ყველას გვაწუხებს

# ადამიანობა დიდი ტვირთია

*„ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს*
*და სიყვარული–მოძმეთა ვალად,*
*სამშობლო შენი მარად გახსოვდეს,*
*თუკი გსურს გახდე ადამიანად“*

სამსახურიდან შინდაბრუნებისას ყოველდღე ვხვდები ჩემთვის უცნობ, ვიზუალურად სიმპათიური გარეგნობის, თმაჭაღარა მამაკაცს. გაცნობისა და გასაუბრების შემდეგ „აღმოვაჩინე“ რომ იგი აფხაზეთიდან დევნილი, პროფესიით ფილოლოგი და დამსახურებული მასწავლებელი ყოფილა. გადავწყვიტე მისთვის რამდენიმე კითხვა დამესვა.

***–როგორ შეაფასებდით დღევანდელ თაობას? რა დონეს აჩვენებენ ისინი?***

***–რა გავლენას ახდენს სოციალური პირობები ახალგაზრდობაზე და საერთოდ ადამიანზე?***

–ძნელია ჩემთვის ვუპასუხო პირველი კითხვის პირველ ნაწილს: „როგორ შეაფასებდით დღევანდელ თაობას?“

საქმე იმაშია, რომ სინამდვილე ცალმხრივი არაა, მას ყოველთვის, როგორც წესი, პოპულარობა ახასიათებს. ღამე რომ არ იყოს, დღე არ იქნებოდა. ბოროტება რომ არ იყოს, სიკეთე არ იქნებოდა... აქედან გამომდინარე, გეტყვით, რომ ყველა მოვლენას ორი მხარე აქვს, დადებითი და უარყოფითი, როცა ახალგაზრდობის შეფასებაზე მიდგება საქმე, მაშინ რა თქმა უნდა, შეფასება უნდა მოხდეს შეფარდების საფუძველზე, რომელი სჭარბობს მასში, უარყოფითი თუ დადებითი!

ქვეყანაში არსებულმა პოლიტიკურმა ფონმა ადამიანების ფსიქიკას დიდი დაღი დაასვა. შეიცვალა სულიერი სტრუქტურა, მაგრამ ხომ იმიტომ გვქვია ადამიანები, რომ კვლავ გვებრძოლა და დაბრკოლებებს მოვრეოდით.

თუ შველაა, ქვეყანას უნდა უშველოს იმ თაობამ, რომლებიც ახლა მერხებზე სხედან. აქვე მოვიშველიებ ბრძენი ინდოელი ხალხის გენიალურ ფრაზას: „მწამს, რომ კაცობრიობის ყველა პრობლემა აღზრდაში ჰპოვებს გადაწყვეტას. აღზრდის საქმეში თავად განსაჯეთ პედაგოგის როლი და მნიშვნელობა.“

ამგვარად, ახლა ჯერი მიდგა პირველი კითხვის მეორე ნაწილზე–იმის შესახებ, თუ რა დონეს აჩვენებს თანამედროვე ახალგაზრდობა. ალღო თუ არ მღალატობს, ამ შემთხვევაში თქვენ, ალბათ, ახალგაზრდობის ინტელექტუალურ დონეს გულისხმობთ, არა?

დღეს ახალგაზრდობის ინტელექტით გაზომვა და მისი განვითარების სიზუსტის განსაზღვრა ძალზე რთული და უაღრესად შრომატევადი საქმეა. თუ პრაქტიკულ გამოცდილების და ალღოს მიხედვით მოვახდენთ შეფასებას, ამ შემთხვევაში ახალგაზრდების ინტელექტუალური დონე იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ ვინ რა მოთხოვნებს უყენებს მომავალ თაობას.

ამგვარად, არც მოთხოვნები, არც შეფასების კრიტერიუმები, არც უკვე შეფასებანი, არც შეფასების ობიექტურობა აბსოლუტური არ არის. ამიტომ იტყვიან ხოლმე: „სასწორის სისწორე ამწონავზე ჰკიდიაო“.

აქ ყველაფერი ითქვა ახალგაზრდობის ინტელექტუალურ დონესთან დაკავშირებით და თუ ახლა საერთოდ ადამიანის „ადამიანურ“ დონეზე ვილაპარაკებთ, მაშინ ჭეშმარიტება იქნება, თუ ვიტყვით, რომ ადამიანის ყველაზე მაღალი „ადამიანური“ დონე არის სიკეთის ქმნა, რომლის კეთება მეტ-ნაკლებად ყველას შეუძლია, თუ იგი ასე გზას სულიერად და მორალურად ადგას: თუ სწავლობ ისწავლე, (იშრომე თუ არ სწავლობ, არ შრომობ, მაპატიეთ გულახდილობისთვის) ბოროტი ხდები, აქ ნეიტრალური ზომა არ არსებობს–ან კეთილი ხარ, ან ბოროტი, რომელს აირჩევთ, ეს თქვენი საქმეა. ოღონდ გახსოვდეთ, რომ ადამიანი მხოლოდ აქ, ამ არჩევანში არის თავისუფალი და სიკეთის ქმნას აირჩევ თუ ბოროტებისას, ეს ისევ შენს ბუნებაზე და არჩევანზეა დამოკიდებული.

დასკვნით ნაწილში დავესესხები აკადემიკოს ანგია ბოჭორიშვილის გამონათქვამს: „ადამიანად ყოფნა უბრალო დროსტარება და გართობა არ არის. ადამიანობა მძიმე ტვირთია და გამუდმებული ბრძოლაა საჭირო პიროვნების სახელის მოსაპოვებლად. მხოლოდ ამ ბრძოლაში გამარჯვებულს აქვს უფლება, დროც ახაროს და მხიარულიც იყოს.“

***ესაუბრა***
***ნაირა ბერაია***

მილოცვა

## ზურაბ ლაცარია საფეხბურთო კლუბ „ბაიას“ წევრი გახდა

**ქალაქ ხობის №2 საჯარო სკოლის VIII-ა კლასის მოსწავლეები და კლასის დამრიგებელი ლილი ესაკია-მირგაცია ამავე კლასის წარმატებულ ნიჭრ ფეხბურთელს ზურამ ლაცარიას ულოცავენ საფეხბურთო კლუბ „მაიაში“ ჩარიცხვას.**

**წარმატებებს უსურვებენ კარიერულ წინსვლაში.**

**P.S. ჩემი რესპოდენტი სასიამოვნო მოსაუბრე გამოდგა, მას აფხაზეთში თავისი ცხოვრების საუკეთესო წლები პედაგოგად უმუშავნია, ქართველი და აფხაზი მოსწავლეების სიყვარული ხობის მუნიციპალიტეტში საგზლად გამოჰყოლია. წლებია სექტემბრის დადგომა დიდ ტკივილს უახლებს, მაგრამ იმედი იმისა, რომ ქართველი და აფხაზი მოსწავლეები კვლავ ერთად მიუსხდებიან სასწავლო მერხებს, სიცოცხლეს უხანგრძლივებს და სიხარულით ავსებს.**

**მან რატომღაც ანონიმურობა ისურვა, მეც ეს თხოვნა სიამოვნებით შევუსრულე და საუკეთესო სურვილებით და მომავალი სასიამოვნო საუბრის მოლოდინით დავემშვიდობე.**

**პატივცემულო მასწავლებელო, მსურს სხვებთან ერთად, თქვენც მოგილოცოთ ახალი სასწავლო წლის დაწყება.**

ხსოვნა

## ანრი ჯგერენაია

დღეს იწყება ახალი სასწავლო წელი, შენ მხოლოდ ხუთ სასწავლო წელს მოესწარი, თერთმეტი წლის ასაკში შეწყდა შენი თბილი გულისცემა და მარადისობაში გადახვედი. თითქოს დრო გაჩერდაო. უხმაუროდ გაგვშორდი. გაგვშორდი და დაგვიტოვე ტკივილის, სინანულის, აუნაზღაურებელი დანაკლისის განცდა.

განსხვავებული, გამორჩეული და თითქოს არამიწიერი, კეთილი და სათნო ბუნების, ფიზიკური და სულიერი სილამაზის, ნიჭიერების, პატარა გულისა და დიდი სიყვარულის მატარებელი იყავი.

ყველანი ვცოცხლობთ იმ იმედით და რწმენით, რომ შენ შენეული სიყვარულით და სითბოთი დარჩი ჩვენთან–ჩვენს გულში ხარ, რადგან ერთი დღეც არ გასულა იმ ავადმოსაგონარი დღიდან შენზე ფიქრის გარეშე. ტკივილი, რომელიც შენმა სიკვდილმა მოგვაყენა არ ყუჩდება. შენ მუდამ იქნები შენი მშობლების, დების, ნათესავების, აღმზრდელების, თანატოლების გულსაწიერში. შენ სიყვარულით და სიკეთით იცხოვრე და უამრავი ადამიანის ცრემლის ზღვა გაიყოლე მარადიულ სასუფეველში. შენს მარადიულ სასუფეველს გაალამაზებს ნათელფენილი სული საქართველოს ვინ მისცა დასაკარგავი შვილი, მითუმეტეს შენს გულდამწვარ მშობლებს, დებს, ნათესავებს, რომლებსაც შენზე ამოსდიოდათ მზე და მთვარე. შენ, ჩვენო ჭკვიანო ბიჭო, ანგელოზად მოვლენილო და ანგელოზად გაფრენილო ციურ სასუფეველში, დაგვიტოვე დაუამებელი ტკივილი, ღრმა ჭრილობა, რომელსაც ვერავითარი ჟამთასვლა ვერ უმკურნალებს.

რაც დრო გადის მძაფრდება მონატრებისა და მოფერების სურვილი. მით უფრო, როცა სექტემბრის ზარს ვერ ჩამოჰკრავ, წელს პირველად ვერ შემოაღებ №2 საჯარო სკოლის კარებს საამაყო მოსწავლედ...

უფალს მორიდებით და პატიებით შევთხოვთ შენს მფარველობას. დე, ისმინოს უფალმა ვედრება და ჩვენმა ლოცვამ, დანთებულმა სანთლებმა, შვება მოჰფინოს შენს უმანკო სულს, გზა გაგინათოს მარადიულ სასუფეველში.

მე მინდა შენს უკვდავ სულს ვეამბორო იმ სიტყვებით, რომელიც ამასწინათ შენს სურათს წავაწერე:

„მე არ მომკვდარვარ–გარდავიცვალე,
და უსასრულოდ შევცურე ზღვაში...
მე მხოლოდ ბინა გამოვიცვალე,
დედამიწიდან გავფრინდი ცაში“

***საშა არჩაია,***

***ქ. ხობის №2 საჯარო სკოლის მათემატიკის მასწლებელი.***

## გოგი ჯორჯიკია



ორმოცი დღე გავიდა შენი გარდაცვალებიდან, გოგი... გვენატრები, შენი რიხიანი ხმა ჩაიკარგა ამ წუთისოფლის სივრცეში და გაიფანტა... სევდიანი დუმილით, შორს მომზირალი თვალებით შეჰყურებდი ცხოვრებას. ყველა ოჯახის, თითოეული ადამიანის თანამდგომი იყავი. უანგაროდ, დაუღლელი შრომით, ერთგულებითა და კეთილგულიანობით გამოირჩეოდი.

დაგვაკლდი საუკეთესო ძმა, მაზლი, ბიძა და მეგობარი. უშენობას ვერ ვეჩვევით და სურათებისა და მოგონებების ამარა დავრჩით... შენი ძმა დიდო, რძალი დოდო, ნიკო, ლიკა, ლიზი და პატარა ნიკო გამუდმებით გიგონებთ... ცრემლები ცრემლებს ემატება გაუთავებლად. სახლთან ახლოს, გზისპირს მოსჩანს შენი სამუდამო განსასვენებელი, მეზობლებს ყოველ გავლისას ემახსოვრები. ამ ქუჩაზე ვერასოდეს გაიგონებენ შენს აჩქარებულ ნაბიჯებს, გულის ცემასთან გაჯერებულს... ყველას შესტკივა გული, ყველას ენანები სიკვდილისთვის... თავზარდაცემი იყო შენი მოულოდნელი წასვლა ამ ქვეყნიდან, გზად მიმავალს, სიკვდილი გზად დაგეწია, გულმა არ ინება ფეთქვა... ნეტავ, ბოლო წუთებში რაზე ფიქრობდი, რას გეგმავდი მომავალი დღისთვის.... მაგრამ ვაი, რომ დაგიღამდა სამუდამოდ. ის დღეც და მეორე დღეც ვეღარ იხილე.... ცალუღელად ზიდე ცხოვრების ჭაპანი, ვინ იცის რამდენ საფიქრალს იტევდი მარტოსული 66 წლის ასაკში იმ ქვეყნად გადასახლდი. სიბერემდე საკმაო მანძილი გქონდა გასავლელი, ნაადრევად ინება ბედისწერამ შენი სიცოცხლის შეწყვეტა...

დასაფლავების დღეს, ჩვენი ოჯახის მეგობარმა და ნათესავმა იმედო ქანდარიამ დილით მოასწრო შენს ცხედართან თავის დახრა და დამშვიდობება, შემდეგ შვილის დასახვედრად წასულს, მობრუნება არ დააცალა გულმა და მასაც შენსავით გზად დაწეულმა სიკვდილმა შეუწყვიტა სიცოცხლე....ბოლო გზამდე ვერ გაგაცილა და მისგან კუთვნილი გულზე დასაყრელი მიწა არ გერგო...

მჯერა, იმ ქვეყნად ერთად ხართ და მარადიულ სასუფეველში მუდამ ერთად იქნებით ჩემო ძმებო. გულსატკენია ცხოვრება, როცა შენთვის ძვირფას ადამიანს ხელიდან აგაცლის და მოუშუშებელ ტკივილს გიტოვებს. ეს ბუნების კანონია და ვერაფერს გავხდებით ჩვენ, მოკვდავნი... ისღა დაგვრჩენია ჭირისუფლებს, თქვენი სულებისთვის ვილოცოთ, ღმერთს შევთხოვოთ შენდობა, რათა მარადიულ სასუფეველში მშვიდად განისვენოს თქვენმა სულებმა... ნათელი თქვენს ხსოვნას.

***ოჯახი.***

## მილოცვა

### თამარ ფაფაჯერაშვილს!

ჩვენო საყვარელო თავო, გილოცავთ დაბადების დღეს და პირველ-კლასელობას, იყავი მუდამ ასე ლამაზი და მზენიერი. გვიხარია, რომ სურამში ერთად ყოფნამ ჩვენ უფრო დაგვაახლოვა და ერთიერთსიყვარული გაგვიძლიერა. ხშირად გიხსენებთ, ვნატრობთ იმ დღეს, როცა ერთად ვიყავით და ლამაზად ვერთობოდით.

გვენატრები, გვიყვარხარ, გვოცნიათ უთვალავჯერ!!!

**შენი ტატა, ბობი, ნუცა, ლიზი და ლუკა.**

## ქვემო ქვალონის საბავშვო ბაღი მალე ახალმოსახლეობას იზეიმებს

**ქვემო ქვალონის საბავშვო ბაღი, რომელსაც 48 პატარა აღსაზრდელი ჰყავს, სავარაუდოდ, მომავალი ახალი წლის საზეიმო კონცერტს, კეთილმოწყობილ, ევროსტანდარტებს მიახლოებულ შენობაში ჩაატარებს.**

**მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელების დიდი მონდომებითა და დახმარებით, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, მეურნეობის ყოფილი შენობა ამიერიდან საბავშვო ბაღს გადაეცემა, სადაც ამჟამად რემონტს ი.მ. „ვადისლავ ბულიგინი“ აწარმოებს.**

**სურათზე: ასე გამოიყურება დღეს შენობა, რომელსაც მალე პატარების ჟრიამული მეტ სილამაზეს შემატებს.**

## ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘ

### ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს აუქციონს

**დანართი №1**

| № | ქონების დასახელება | სარეგისტრაციო ნომერი | გამოშვების წელი | ფერი | ტიპი | გასაყიდი ფასი | „ბე“ 10% | „ბიჯი“ 10% | ბილეთის ფასი | სახაზინო კოდი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ა/მანქანა „ფორდ-მონდეო 1,8" | NAA-876 | 1994 | ლურჯი | ჰეტჩბეკი | 570 | 57 | 57 | 20 | 300403332 |
| 2 | ა/მანქანა „რენო-მეგანი" | MCM-514 | 1997 | ლურჯი | - | 680 | 68 | 68 | 20 | 300403332 |

**დანართი №2**

### საპრივატიზებო ქონება

| № | ქონების დასახელება | მდებარეობა | ნაგებობის ფართობი კვ.მ | დასაშლელი ნაგებობის აუდიტორული შეფასება | შენობის დაშლის სავარაუდო ღირებულება | ნაგებობის სააუქციონო ღირებულება | „ბე“ 10% | „ბიჯი“ 20% | ბილეთის ფასი | სახაზინო კოდი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | პროფესიული სწავლების ცენტრის 6 სასწავლო კორპუსის შენობაზე მიშენებული ორი ნაგებობის დემონტაჟი | ნოჯიხე-30 | 506 | 2840 | 2800 | 40 | 4 | 8 | 20 | 300403325 |

განცხადების მიღების ადგილია ქ. ხობი ც. დადიანის ქუჩა №189, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა, ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახური.

განცხადების მიღების ვადაა გაზეთში ინფორმაციის გამოქვეყნებიდან აუქციონის ჩატარების დღემდე 10-00 საათიდან 18-00 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა), ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 10-00 საათიდან 14-00 საათამდე.

აუქციონის ჩატარების თარიღია 2015 წლის 24 სექტემბერი 15-00 სთ.

საბანკო რეკვიზიტები:ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო–707017021, მიმღები ბანკი–სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი–TRESGE22

აუქციონის ფორმით ქონების პრივატიზებისას გამყიდველის და მყიდველის მიერ ხელმოწერილ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი არის წერილობითი ხელშეკრულება, გამარჯვებული პირის მიერ აუქციონში გამარჯვებისას დამადასტურებელ ოქმზე ხელის მოწერაზე უარის თქმა არ-თმევს მას გამარჯვებულის სტატუსს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან საქართველოს კანონით განსაზღვრულ ვადაში გამგეობასთან გააფორმოს ხელშეკრულება, აგრეთვე აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცების მომენტიდან 30 დღის განმავლობაში დაფაროს მის მიერ აუქციონზე დასახელებული საბოლოო თანხა, წინაამღდეგ შემთხვევაში მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე“-ს შენატანი არ დაუბრუნდება, აუქციონის შედეგები გაუქმდება.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი (მიიღებთ გამგეობაში);

ბ)„ბე“-ს და მონაწილის ბილეთის ფასის შენატანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი;

გ) პირადობის მოწმობის ასლი:

დ) იურიდული პირები დამატებით წარმოადგენენ ნოტარიალურად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტის ასლს;

ე) ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ მყიდველი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

საუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საწყის გასაყიდ ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა.

ქონების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურში, საკონტაქტო პირი–ლამზირა თოდუა

ტელ-599-85-60-91

**ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა**

## წაუკითხეთ პატარებს!

### რა უხვია შემოდგომა

**ლალი ჭედია**

შემოდგომა წითელია,
შემოდგომა ყვითელია,
ნიკავ მიდი გაიხედე,
რა ლამაზი ფერებია.
ახლა ყურძენს ჯრიფავს მარი,
გაუსინჯა გემო ანრიმ.
რა ჯარგია ჩემო მარი,
აბა ჩქარა ჰარი, ჰარი.
დაიწურა ღვინო ჯასრში,
ათუხთუხდა ფელამუში,
ბებომ სწრაფად მოურია,
დაუჯარით ჩემთვის ტაში.
შემოდგომის ფოთოლცვენით
შარიშურობს ირგვლივ ქარი,
ატრიალებს ყვითელ ფოთლებს
მოჰქრის ჩვენკენ ზამთრის ქარი.
აქ, ღობესთან ყურშას სძინავს,
ესიზმრება ისევ ანი.
ის ჯი სიმინდს ჩუმად არჩევს,
გოგონაა ჯგუფის თვალი.
რა უხვია შემოდგომა
შეხეთ ნიკო როგორ მღერის,
ეს წითელი, ეს ყვითელი
ეს ჯი ყავისფერი არის.
თივის ზვინი ცისკენ მიდის
შეაგროვა ლუკამ მსხალი,
ბოჩოლასთვის უნდა მამას,
ლუკას მიაქვს მისთვის ვალი.
რძე მინდაო ვეღარ ეტყვის,
ხომ შერცხვება ბიჭი ამით,
ეხმარება ახლა მამას,
ისიც თიბავს ბალახს ნამგლით.
ხე შრიალებს მოწყენილი,
ზედ ფოთლები აღარ არის,
გიო ჩუმად ეკითხება
შენი ჯაბა აქ სად არის?
შემოდგომამ გამიყვითლა,
მომაგლიჯა ქარმა ძალით,
ძაფით ვეღარ მივაკერე
მიმოყარა იქეთ-აქეთ.
ეს მსხალია, ეს ატამი,
ეს ყურძენი, ესეც ვაშლი.
ეს ჩურჩხელა ბებოსია,
მე მომართვა, ჩემი არის.
ვიღაც შეშას ეზიდება
ჭრიალია მძიმე არის,
გამოაღეთ სწრაფად ჯარი
ზამთრისათვის ჩვენთვის არის,

* * *

მზე ისევ, ისე მწველია,
მაგრამ დილით სულ ნისლია,
ეს შემოდგომის სურათი
საოცარი და დიდია.
ჩემს ტურფა საქართველოში,
შემოდგომაზე „ჰიმნია“
და ვაზის საგალობელში
ქართლის სული და ჯიშია.
მიყვარს სოფელი, ქალაქი
ჩემი სამშობლო აქ არის.
და წელიწადის ყველა დრო
განსხვავებული რამ არის,
აქ შემოდგომა ეხლაა
ბარაქიანი, მდიდარი
მადლობა უფალს ამაზე,
რაც მოგვცა ნორჩებს ეს არის.

უთქვიათ „დაიზრდებიან „ალგეთს
ლეკვები მგლისანი“
ჩვენც ნაშიერნი ვართ
ხვალის სიცოცხლის მიზანი.


**დამფუძნებელი: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.**

**გამომცემელი შპს „ხობის მოამბე“**

**სარედაქციო კოლეგია:**
- თავმჯდომარე შ.პ.ს. „ხობის მოამბეს“ დირექტორი–მერი ლაგვილავა,
- თავმჯდომარის მოადგილე, დირექტორის მოადგილე–ნანი კილასონია.
- რედაქტორი–მანანა შულაია.
- ჟურნალისტები–ნინო გერგაია, ნაირა ბერაია.
- კომპიუტერული უზრუნველყოფა–ჯულიეტა ლატარია.

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შპს „ხობის მოამბეში.“

მის: ხობი, წმინდა ნინოს ქუჩა №1 ტელ: 0 (414) 22-21-13; 22-25-81; 599-50-40-57. ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru

დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გაზეთში დაბეჭდილ მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.